საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 147 დამატების № 27

კვირა, 3 მკათათვე, 1916 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის ველი. ნაპოლეონის ომის დროიდან.



სტეფან სიმონის ძე ელიაძე.
ცნობილი ქველმოქმედი ქართველი (მოხუცე). გარდაიცვალა 1916 წ.

***

(ძველი რვეულიდან)

გოგოვ, ეჰ შენი თვალები
ცელქი ცრემლების ტბა არი;
ჩემს გულშიც ჩამოიხედე
ნახე რამდენი ზღვა არი.
ზღვა ცრემლის, სისხლის, ნაღვლისა,
ზღვა ატანილის ჭირისა,
ზღვა გულში გადმოლეკილი
სხვა მდინარეთა პირისა.
მაგრამ რა უყო, არ ვტირი,
არც ვჩივი, არცა ვღონდები,
ზღვა ჩემს მუჭაში მგონია,
როცა შენ მომაგონდები.
გული შხამ-ნაღველ ნასვამი
კიდევ სავსეა ბგერითა,
რა მომკლავს ვიდრე არ გავძღე
შენი თვალების ცქერითა.

შიო მღვიმელი.

სევდის მეფე

ვპოვე და დავკარგე... დავეძებ დაკარგულს!
ძებნადა გულს ვგზავნი სევდითა დაბარგულს..
მას ფრთები შევასხი შავი და ელვარე
დაჰქრის და დაგეძებს მრისხანე, მღელვარე!
ცაში რომ აგტყორცნონ, მიწამ რომ გაგწიროს
და ხარბმა ქვესკნელმა ჩაგყლაპოს, ჩაგძიროს,
ზღვის ფსკერზედ რომ გაჩნდე ფირუზთა ციალში.
ატომად რომ თრთოდე სტიქიონთ ტრიალში,
გიპოვნის!.. გიპოვნი თვალბასრი, მქუხარე
თვით სიხარულშიაც უღიმო, მწუხარე!
გეწვევი ამაყი უდრეკის ქედითა!
დაგწვამ და მით გაგწმენდ უშრეტის სევდითა!
მე სევდის მეფე ვარ! ძალა მაქვს ულევი!
ნუ მებრძვი ამაოდ, რადგან ვარ უძლევი!..

***

ქვესკნელს რომ მიმართო, ახვიდე ცად,
ჩემს სევდა—ანდამატს წაუხვალ სად?!..

კ. მაყაშვილი.

15 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ კლუბში ყვავილებით გაკეთებული შოთა რუსთაველი ბაღოსან გიგო მიხეილის ძის ჯიშკარიანის მიერ.

მოსიარულე მემუსიკე ილიკო ქურხული, ქუჩაში უკრავს ჭიანურს

უბედური რუსი

(ქარგა ისტორიული)

შალვა დადიანისა.

თავი პირველი

ბ.

ალიონი იყო, რომ გაქაფებული ცხენი მოაგდო თავადმა იურიჲმ ყივჩაყთა მეფის ეზოს.

თავის გამზრდელ კუზმასთან შეიყვანეს.

კუზმა ლოგინიდან წამოიწია და გაზრდილს თვალი გადაავლო, თითქო პირველად სინჯავსო.

მაღალი და მხარ-ბეჭიანი 18—19 წლის ახალგაზრდა იურიჲ თავდახრილი იდგა მის წინაშე. ოქროს ფერი, აბრეშუმივით კულულები უცხო გვირგვინათ ჰქონდა შემოდგმული მის ფართო, ლმობიერ თეთრ-ყირმიზ სახეს. მოლურჯო, ცისფერი თვალები, შავი, ზევით ახრილი გრძელი წამწამებით და მშვილდურათ გაზიდული წვრილი შავი ფერის წარბები მართლაც საოცნებო ფერს აძლევდა მთელს მის პირისახეს. პაწია, მაგრამ სურათოვანი ცხვირი და თითქო ოდნავ გაპობილი პატარა, წითლად წამოჭვიებული ბაგე, ვარდის ფერ ატლასის პირის კანი, ეს ოველივე ცოტა ქალურს, მაგრამ მაინც სილამაზის სურათს იძლეოდა.

კუზმას იამა გაზრდილის დანახვა.

ეს ციური სახე-პირი, ვაჟკაცურად გაშლილ გულ-მკერდიან და თითქო ფოლადისგან ჩამოსხმულ მხარ-მკლავებთან კუზმას წარმოდგენით მთავარანგელოზის მსგავსად ხდიდა მის გაზრდილს.

— იურიჲ!—ლმობიერათ წამოიწყო კუზმამ.—გამოგზავნილები გეტყოდნენ უთუოდ რა ბედნიერებაც მოგელის...

— მითხრეს, ჩემო გამზრდელო, მაგრამ კარგათ ვერ გავიგე... იქ, შორს რად უნდა წავიდე?.. იქ უნდა ჩავესიძო?.. მომიტევე, კუზმა ვერ წავალ!.. მერე ეს ჩვენი ტრიალი მინდორი უნდა მივატოვო?.. ნაძვნარი, არყის ხის ტყე?.. ჩვენი რუსეთი, კუზმა? ჩვენი მამული?

კუზმამ მძლავრად ამოიხვნეშა, იურიჲ უფრო გათამამდა, თავი აიღო და ციაგი, ბავშურის სათნოებით აღსავსე თვალები გამზრდელს მიაპყრო.

— თუ მაინცდამაინც იმ დედოფლის შერთვა მიუცილებელია, აქ მოვიყვანოთ... მერე კიდევ, თუ მართლა ეგრე ძლიერია, მისი ძალა დავიხმაროთ და დავიპყრათ ჩვენი მამული...

— მეფურად მსჯელობ, შვილო, მაგრამ შენი ბჭობა უცებურია. დიდი და თავისთავადო ქვეყანაა საქართველო... იმ დედოფალს ჩვენ არავინ გამოგვატანს, ძლიერი სახელმწიფოა და ის ქალი მეფეა თავის ქვეყნისა... პირველად რომ გავიგე, მეც შენსავით გულმა რეჩხი მიყო: მერე ჩვენი მამული—მეთქი? მაგრამ... წუხელის თვალი არ მომიხუჭავს. ბევრი ვიფიქრე და... შემდეგ მეც გადავწყვიტე: უნდა წახვიდე, შვილო, უნდა შეირთო საქართველოს დედოფალი...

იურიჲს ნატოფი შუბლი ოდნავ შეეჭმუხნა და გაბუტულმა თავი დახარა.

კუზმას ყურადღება არ მიუქცევია, თავისას განაგრძობდა:

— დიდი მეფე გახდები, იურიჲ, მძლავრი ტახტის ხელმწიფე და შემდეგ... აი აქ გმართებს სიბრძნის გამოჩენა. ქართველებს დიდათ უქებენ ვაჟკაცობას... წინედაც გამეგონა, მაგრამ წუხელს ყივჩაყთა მეფემაც ამიხსნა, რომ მთელი აზია ქედ-მოხრილია მათ წინაშე და აი, შვილო.. როდესაც მეფე იქმნები ამ გმირთ ხალხისა, მაშინ... მაშინ შეიძლება შენი რუსეთის მამულიც შემოუერთო შენს სახელმწიფოს,..

აქ კი ხმა დაუშვა კუზმამ.

— მთელი ეს პოლოვეცის მხარეც... შეიძლება ჩვენი უგზო უკვლოდ მოთარეშე ყაზახებიც გაიერთგულო და ყირიმსაც მისწვდე... მაშინ... ვინ იცის, შვილო, შეიძლება ერთი დიდი იმპერიაც დააარსო...

იურიჲმ ერთი უცებ გაკვირვებით თვალები შეაელვა გამზრდელს. კუზმამ ამოისუნთქა.

— და აი, შვილო, ამ ქორწინებით რა დიდ საწადელს შეიძლება მიაღწიო. მაშინ ხომ ხედავ ჩვენი წინანდელი განზრახვა რა მცირეა... სად მარტო ჩვენი სამთავროს დაბრუნება და სად უზარმაზარის და მძლავრი იმპერიის დაარსება... შეიძლება, შვილო, თვით ღმერთმა აგირჩია ამ ისტორიულ დანიშნულების აღსასრულებლად... ეეჰ, ბედნიერი ყოფილხარ... მამაშენს, უბედურ ანდრეის ღმერთმა არ აღირსა საწადელს მიჰხწეოდა, ვინძლო შვილო, შენ მაინც გაახარო შენი გამზრდელის გული და აღამაღლო უბედურ მამი შენის სახელი. განსვენებული რა კაცი იყო, როგორი მუხანათობით მოკლეს...

ამაზე ვაჟკაც კუზმას ხმა აუკანკალდა და თვალში ცრემლი მოერია, მაგრამ თავი შეიმაგრა და გაზრდილს დაუძახა:

— მოდი აქ, იურიჲ...

იურიჲ მორჩილებით დაიძრა, მაგრამ ტანს ეტყობოდა ერკემლის სიჯიუტე.

უეცრად იგი ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა გამზრდელს.

— კუზმა! ნუ გამგზავნი... გევედრები, გემუდარები...

კუზმა შეკრთა ამ ათრთოლებულ ჭაბუკის ხმაზე და დასალოცად აღებული ხელი ძირს ჩამოიღო.

— იურიჲ, ეგენი არ მომწონს!

გაისმა მისი მკაცრი კილო.

— კუზმა... კუზმა... შენ ჩემი მამის მაგიერი ხარ... მამა... გულ-ამოსკვნილი ქვითინებდა იურიჲ.

— რა იყო, რა მოგდის?..—წელში სრულიად გაიშალა და ლოგინიდან ფეხები ჩამოიღო კუზმამ.—დედაკაცი კი ნუ გახდები... რა მოგდის?

— არ შემიძლიან წასვლა არა...

ლუღლუღებდა ვაჟი.

კუზმას ცალი წარბი ზევით წაუვიდა, ცალი თვალი ცოტა მოეხუჭა და ქვეით ჩამოშვებულ, ჩამოშლილ თეთრ ულვაშებთან ღიმილმა გადაუელვა.

— ჰმ... გიყვარს ვინმე?.. ეგ, შვილო არაფერია! ჭაბუკი ხარ მაშ როგორ იქმნება?.. ძაგრამ ჯერ გამოუცდელი ხარ... ქალების მეტს რას იშოვნი, შე—სულელო, შენა.

ლმობიერად და ალერსით ხუჭუჭა თმებზე დაჩოქილ შვილს ხელი გადუსვა.

— საქართველოში რომ მიდიხარ, მონასტერში კი არ იგზავნები... სულ საქართველოს ქალები შენ ხელთ არ იქნება?.. დედოფლის ქმარი რომ გახდები, ბერათ კი არ უნდა აღიკვეცო... დედოფალი დედოფლად... ძაგას ისტორია მოითხოვს, სახელმწიფო მოსაზრება, აი ვინც გიყვარს... მხოლოდ ჯერ არა, ჯერ დაიჭირვე მოშორება. შემდეგ მოასწრებ... მეფე არ იქმნები? ბრძანებ და... გათავდა.

თანდათან მოლბა კუზმა.

— ვინ არის?.. ჰაი, შე—ცუღლუტო! უეჭველია ლამაზია...

იურიჲ მაინც ქვითინებდა.

— ჰო, კარგი... ეხლა... მითხარი შენს, გამზრდელს შვილო, მე არ დაგძრახავ...

პასუხი ვერ მიიღო. კუზმამ იფეთქა.

— მაშ რა ღმერთი გიწყრება?..

ხელები მოეკუმშა. თავი შეიმაგრა. ყრუთ უბრძანა:

— გასწი, დამეკარგე!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძოლის ველი.

იაკ ობ კონსტანტინეს ძე ტატიშვილი
(იხ. დღევანდელი გაზეთი.)

იურია ზლაზვნით წამოდგა და გაწკეპილ ლეკვივით კარებში გაიძურწა.

გ.

დილის საუზმეზე ყივჩაყთა მეფემ კუზმამ და ზორაბაბელმა დაასკვნეს, რომ მგზავრები ორი დღის შემდეგ უნდა აბარგებულიყვნენ. ამალას კი არ გააყოლებდნენ ახალგაზდა იურიას, მხოლოდ კუზმა წაჰყვებოდა.

ზეიმით ჩასვლას შემდეგშიაც მოვესწრებითო, გადასწყვიტეს.

ეხლა საკმაოთ მიიჩნიეს, რომ ყივჩაყთა მეფეს მის სამფლობელოში დარაჯნი ეხლებინა, შემდეგში ოვსეთის სამთავროზე გადავიდოდნენ და იქ უკვე ფიქრი არ იყო: საქართველოში მომავალ ვაჭარს არავინ ხელს არ ახლებდა.

ზანქანო დაჰპირდა მეფეს, რომ როგორც კი საქართველოში იურია მოწონებული იქმნებოდა, მაშინვე აფრენდა მათკენ მალიად მსრბოლს ვინმე შათირს და ყოველივეს აცნობებდა, ხოლო ჯვარის წერისთვის თვით ყივჩაყის მეფემ მოისურვა დიდის ამალით და გამოჩინებით ჩამოსვლა საქართველოს.

სამაგიეროდ ზანქანმაც მოითხოვა, რომ როგორც კი იურია ჯვარს დაიწერდა, მისი ფული უკლებლივ უნდა მიეღო.

პირობა დაუდვეს და გახარებულნი სმა და პურობას შეექცნენ.

ამასობაში კი ახალგაზდა იურია ოთხში ამოღებულ მფრთხვინავ ქურანს მიაქროლებდა სუნჯას ველზე.

აგერ არყის ხის ისრებივით ცისკენ ასხლეტილი ქოჩორა ტყე.

შორით ისე მოსჩანს თითქო საზღაპრო რამ სასახლეაო.

წინ თეთრ-კანიანი, ურტოებო ხეებია ჩამორიგებული. ეს თითქო მოსავალის სვეტები არის.

შიგნით კი სიხშირეში, თეთრსავე ჩარჩოებში ჩაშავებული არე მოსჩანს, თითქო თაღებია და მაღაროებია გაყვანილიო.

ზევით კიდევ მწვანე გუმბათი.

ამ სასახლეში ცხოვრობს განთქმული მოთარეშე, ყაზახი რუსი, იურიას მეგობარი.

ბევრნი არიან ესეთი „გაჰრილნი ტყე და ველათ.“

მათ ვერ იგუეს მთავრობის სიმძლავრე და თავი მისცეს მოუსვენარს, მაგრამ თავისუფალ ცხოვრების მიდამოებას.

ამათში ყველაზე უფრო რჩეული, ყველაზე გმირი და სახელ-განთქმული იურიას მეგობარია.

— ეი, რედედია!

გაჰყვირის ტყესთან მიახლოვებული ახალგაზდა მხედარი.

— აქეთ, ჩემო შევარდენო, აქეთ!

გამოისმის ტყიდან მკაფიო და ძლიერი ხმა.

ლაგამს სულ მიუშვა ხელი იურიამ.

ქურანიც დაფეთებულივით ტრიალებს ტყის ლაბირინტში.

მიაგნეს რედედიას.

თვითონ ცხენი შეჩერდა.

ტყის შუა-გულ, ცეცხლის პირას მჯდომი, ზეზე წამოდგა ერთი მთაკაცი.

შუა-ხნის არის ეტყობა, მაგრამ ჯერ კიდევ კარგა შენახულა. მხოლოდ ფართო წაბლის ფერ წვერების ბოლოებში ორივ მხარეს თითქო თეთრი ყინულები ქვეით ჩაზიდულან.

ტანს ჯავშანი აცვია და მთელი აგებულობა ტყვიიდან ჩამოსხმულს უგავს.

— რა ჰქენ, რაზე გიხმეს?

— ჯვარსა მწერენ, რედედია!

რედედიამ თითქო არ გაიკვირვა, მაგრამ ერთი მაინც თვალი გადაავლო იურიას. შემდეგ თითქო ჩაიცინა:

— მერე რა გიშავს! უკვე დროა ცოლის შერთვისა. მეფის შვილი ხარ, მაშ ისე ვინ დაგაყენებს... რამდენჯერ მითქვამს, ჩემსავით თავისუფლად შენ არავინ გაგიშვებს-მეთქი...

— არა, მე უშენოდ არ შემიძლიან. თავისუფლებას ვერ მოვიკლებ.

— ჰო კარგია, ჩემო მართვე.—ერთი ჩამოხტი... მიამბე ვინ არის შენი საცოლო... აქვე მივსხდეთ ცეცხლის პირას... ისეთი არაყი მაქვს და გარეული ღორის ქონი. ტახისა, ტახის...

იურია ჩამოხტა. ცხენს სადავე უნაგირზე გადაუგდო და რედედიას ცხენთან დააყენა. რედედიას შავმა მერანმაც თითქო სიამოვნებით მიიღო სტუმარი. ყელი ყელს გადააჭდო, რაღაც ჩაუფრუტუნა.

დასხდნენ მეგობრები და იურიამ უამბო ყოველივე.

რედედიას თანდათან სახე მოეღრუბლა და არაყს მიეძალა, იურიასაც ხშირ-ხშირ უსხამდა.

— ჰო და ეხლა მითხარ, როგორ დავსთმო ეს ყოველივე?

არყისაგან შეხურებული და თვალებ მოელვარე განაგრძობდა იურია.

— შენ მასწავლე ტყის თავისუფალი ცხოვრება... ნადირობა, ქარავანზე დაცემა, სოფლელების აწიოკება, ლამაზების გატიცება... შენ შემასწავლე ჩვენი გმირული სიმღერები... რედედია, ჩემო კარგო... დამიხსენ, მომიტაცე, წამიყვანე... გადავვარდეთ შორს, შორს სადმე, რომ მხოლოდ მოზუზუნე ქარი იყოს ჩვენი მეგობარი, ტრიალი მინდორი ჩვენი მხლებელი და უღრანი ტყე ჩვენი ასპინძელი...

რედედიას კვლავ მოუხეშავად ჩაეცინა, მაგრამ თითქო სიბრალულით გადახედა ჭაბუკს.

თვალები ამღვრეული ჰქონდა, ეტყობოდა არაყი მოქმედებდა.

— მოდი აქ, მაკოცე, ჩემო შევარდენო...

ცხენებმა ტყის სიხშოს მისცეს თავი. არყის ხის ფოთლები თითქო უფრო ათრთოლდნენ და რაღაც საიდუმლო შრიალს მოჰყვნენ.

უეცრად ამ ტყის იდუმალებაში გაისმა ველური რამ, საცვიფრელი სიმღერა.

მღეროდა რედედია.

ფერ-მიხდილი და თვალებ მიბნედილი იურია რედედიას მკერდზე იყო მისვენებული. იგი თითქო ბურანში იყო, მაგრამ ტუჩები ნეტარებით ულიმოდნენ. მას ესმოდა მისი საყვარელი სიმღერა.

ეს იყო ქარის მიდამოება, ტრიალ მინდვრის უდაბურება და ადამიანის მოუხეშავ ძალის გაუგნებლო ხეთქება. მხოლოდ იგრძნობოდა, რომ ამ ძალას უყვარდა თავისუფლება.

დიდხანს მღეროდა რედედია. ცხენებიც დაბრუნდნენ თითქო მის მოსასმენად და ტყემაც ვითომ დროებით შეაჩერა მისი დაუნდობელი შარიშური.

თვით რედედიც სიმღერისაგან გამოფხიზლდა. უეცრად შესდგა. თავზე ხელი გადაუსვა იურიას და ოქროს ხუჭიჭი თმა კიდევ უფრო აუშალა. შემდეგ შეანძრია:

— გინდა წავიდეთ სვეტლანასთან?

იურია სწრაფად მოეგო გონს.

— სვეტლანასთან?—oო, გავსწიოთ, გავქროლდეთ.

და მართლაც ცოტა ხნის შემდეგ ორივეს მერანი რაშებივით მიაქროლებდნენ თვალ-უწვდენ მინდორზე.

იმ ღამეს სვეტლანას ჯარგვალში დიდხანს, დიდხანს გამოისმოდა რუსულ ბალალაიკის ხმა. თვით რედედია გაგიჟებული უვლიდა ბუქნას.

საცმელ-შემოძარცული სვეტლანა კი თავის სქელ თმაში გახვეული არყით დამთვრალს და ეშხით გონება-მიხდილს იურიას ეჯდა მუხლზე და ყელს შემოჰდობოდა.

მოიქანცნენ.

დილით კი გვიან გაეღვიძა იურიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაშინვე რედედია იკითხა. სვეტლანას დედაბერმა უპასუხა, რომ რედედიამ გათენებამდის გაქუსლა და ეს დაუბარა:

— ჩვენ შორის ყოველივე დასრულდა, ჩემ კვალს ნუღა ეძებ... შენც შენს საქმეს ეწიეო.

ამის გაგებაზე იურიჲს თითქო ნიადაგი გამოეცალა, დიდ-ხანს აზრი ვერ შეიკრიბა. არა სჯეროდა. შემდეგ სვეტლანა იკითხა. უპასუხეს, რომ კიევიდან ვიღაც რაინდია ჩამოსული და სვეტლანა მასთან წავიდაო. ამან სულ გააფთრა, კინაღამ დედაბერი ხმლით აჰკუწა, მაგრამ დედაბერიც გაუსხლტდა და მიეფარა.

მაშინ კი მწვავეთ იგრძნო სრული მარტოობა და გული ამოესკვნა, მთელის ტანით ქვითინად იქცა.

დედაბერი კვლავ შემოიპარა, წყალი ასხურა, ლოგინზე მიაწვინა ბავშვივით და ალერსი დაუწყო.

იურიჲს თითქო დაუამდა. შემდეგ გარეტიანებულივით წამოდგა, ცხენი მოსძებნა, შეჯდა, მაგრამ ლაგამს ხელი მიუშვა და თითქო თავი მის ტაიჭს მიანდო.

საღამო ხანი იყო, რომ ცხენმა სამყოფელში მოიყვანა.

ყივჩაყთა მეფე ტუქსვით შეხვდა, მაგრამ ძალიან არ გაწყრომია. ხუმრობდა კიდეც: ეს უკანასკნელათ იგიჟიანებს თავს, სიყმაწვილეს ეთხოვებაო.

მხოლოდ კუზმა იყო დაღვრემილი. იურიჲს არაფერი არ უთხრა. მის საკანეში შეიყვანა. შეატყო რომ დალილია, ლოგინი გაუსწორა, მსახურს უბრძანა ფეხთ გაეხადა იურიჲსათვის და თვითონაცოთახს ჩუმად გაეცალა. შემდეგ მსახური გარედ გაუშვა.

იურიჲს არ ეძინებოდა. თვალებგაშტერებული დიდ-ხანს იყო გულაღმა დაწოლილი.

მის უწვრთნელ, ჭაბუკ გონებას ვერ დაეძლია ესდენ ძლიერ განცდათა ერთად თავ-მოყრა: სადღაც ახალ ქვეყანაში წასვლა, დატოვება ყველა იმის, რასთანაც შეზრდილი იყო მისი სული და გული, მისი ხორციც-კი, მისი სიგიჟის, მისი თავშეუკავლებლობის და განსაკუთრებით-კი დათმობა რედედიასი... ამ გოლიათის, ამ საოცარი ადამიანის. იურიჲს ხომ იმის მსგავსი არაფერი არ უნახავს სიცოცხლეში!.. ისეთი ვაჟკაცი, ისეთი შეუპოვარი... ნოვგოროდელ კნიაზს გამოექცა და აქ ტყეს მისცა თავი... აქ ყივჩაყთა მეფემ ერთხელ შეპყრობა მოუნდომა, მაგრამ როგორი სირცხვილი აჭამა თვით მეფეს და მის ამალას... შემდეგ თავი მიანებეს... რედედია-კი იმდენად პატიოსანი იყო, რომ ყივჩაყთა სამთავროს არას ერჩოდა... ზოგჯერ აქ მომავალ ვაჭრებს, თუ მის ახლო ჩამოივლიდნენ, ცოტა რასმე საჭიროს ასწავნიდა... ერთხელ მგონი ზორაბაბელსაც აწყენინა ცოტა, მაგრამ ეს იყო და ეს... თვითონ-კი იურიჲმ როგორ გაიცნო?.. ოო, ეს დიდი ხნის ამბავია...

ნადირობის დროს... პირველად რომ შინაყმებმა შავარდნებით ხოხობზე წაიყვანეს... ტყეში, ეკალ-ბურდში გაიხლართა იურიჲ... ისე რომ ვერც ცხენმა და ვერც იურიჲმ კინაღამ თავი ვერ დააღწიეს... შინაყმები შორს ჩამორჩნენ... ამ დროს საიდანღაც გამოძვრა ეს მთა-კაცი... პირველად მის შეხედვაზე როგორ შეეშინდა!.. მაგრამ რედედიამ მოუფერა... ეკლები გაუწია, ცხენიდან ბავშვივით ხელში აიყვანა... მაშინაც კარგი მოყვანილი ჭაბუკი იყო, მაგრამ რაც დედიამ მისი მძლავრი მკლავებით ბურთივით ზეაიტაცა და მუხლებზე დაისვა... როგორი მძლავრი იყო მისი თვალები... იმორჩილებდნენ... ტანს სულ ცახცახი დააწყებინა, უნდოდა გასხლტომოდა კიდეც, მაგრამ სად წაუხვიდოდი ამ რკინის მკლავებს... შემდეგ როგორ მოდუნდა, გონება წაერთო და ბურანში გაეხვია... მას შემდეგია ამ კაცმა დაიმორჩილა. თითქო მისი აზრით აზროვნებდა, მისით ცოცხლობდა... ზოგჯერ არ უნდოდა კიდეც, მაგრამ რაღაც მძლავრი ძალა რედედიას ტყიდან მოურევნელად ეწეოდა მისკენ... მტკივნეული იყო ეს ნეტარება, მაგრამ მაინც ნეტარება იყო რედედიასთან ყოფნა. პირველად მან გააცნო ის დაუნდობელ, „ტყის ალქაჯა სვეტლანა“... ასე ეძახოდა რედედია... და განა მარტო ალქაჯი?.. ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი მოქნილი და ენებით ათრთოლებული მკლავები მოხვევია იურიჲს მოღერებულ ყელს?.. ეს სულ რედედას ხერხი იყო,.. ოო, იცოდა მან იურიჲს სისუსტე—და აი ეხლა ამ კაცმა, რომელსავით არავინ არ ყვარებია ამ ქვეყნად... თვით კუზმაც კი—მისი გამზრდელი, მისი მამის მაგიერი... არა ასე არც ის ყვარებია და... ამ გვარმა კაცმა უღალატა... უღალატა მაშინ და იმ დროს, როდესაც ყველაზე უფრო ჭირდებოდა მეგობრის მძლავრი ხელი და გული...

ამ გაფიქრებაზე იურიჲ ლოგინიდან გიჟივით წამოიჭრა, მაგრამ კუთხეში დიდ-მაცხოვრის ხატს შეასწრო თვალი... მის წინ წმიდა სანთელი ნელინელ პარპალებდა... და მოსხლეტილივით მის წინაშე ორივე მუხლებზე დაეშვა.

კარების ჭუჭრუტანას გარედან შავი ნავთი ჩამოშორდა. თვალებმა სიხარულით გაიელვეს.

ეს კუზმა იყო.

— გადარჩა!—ათრთოლდა ჩუმად ეს სიტყვა მის ბაგეზე და გასწია მეორე მხარესკენ.

მეორე დღეს ყივჩაყთა მეფის დარაჯების თანხლებით ზანქან ზორბამელი, კუზმა—რუსი და ანდრეი ბოგოლიუბსკის ვაჟი, უფლისწული იურიჲ უკვე გაემგზავრენ საქართველოს.

შალვა დადიანი.

(შემდეგი იქნება)

უწყლობა თბილისში

ცხვირს აიკარით ბატონებო, ხელსახოცია,
სუნი სდგას, უწყლოთ იქ ერთი რამ წარსახოცია!



ძლივს! წყალი! წყალი!

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

რედაქტორ გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**